

მუხლი 486. გაყიდული საქონლის მიწოდება ნაწილ-ნაწილ

გაყიდული საქონლის ნაწილ-ნაწილ მიწოდებისას, თუ ერთი მხარის მიერ მიწოდების მხოლოდ ერთი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო შეიქმნა რეალური საშიშროება იმისა, რომ მომავალი მიწოდების ვალდებულებებიც არ შესრულდება, მაშინ მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

I. ზოგადად	1
II. შემადგენლობა	1
1. ნაწილ-ნაწილ შესრულება	1
2. რეალური საშიშროება	2
III. სამართლებრივი შედეგი.....	3

I. ზოგადად

486-ე მუხლი 405-ე მუხლთან ურთიერთკავშირში უნდა განიმარტოს. კერძოდ 405-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების შესაბამისად, კრედიტორს უფლება აქვს, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუკი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი. სხვა შემთხვევაში, 486-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების წარმოშობა უნდა გამოირიცხოს მთლიან ხელშეკრულებასთან მიმართებით და გავრცელდეს მხოლოდ ხელშეკრულების ნაწილის მიმართ.¹

486-ე მუხლის გამოყენებისათვის, უპირველესად, დასადგენია, რამდენად ითვალისწინებს სადავო ხელშეკრულება ნაწილ-ნაწილ მიწოდებას. ამასთან — შესაძლებელია თუ არა შესრულების ბუნებიდან გამომდინარე მისი ნაწილ-ნაწილ გამოყოფა. ცალკეულ შემთხვევაში, შეფასებას საჭიროებს ასევე, მოცემული ეტაპისათვის რა ნაწილია შესრულებული და რომელი ვალდებულება არ შესრულდა. ასევე, რა გარემოებები არსებობს, რომელიც ობიექტურად ქმნის იმის საფრთხეს, რომ დარჩენილი მიწოდებაც არ შესრულდება. 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით, უნდა შეფასდეს ასევე მთლიანობაში შეფარდება შესრულებულ და შესასრულებელ ნაწილს შორის, როგორც მოცულობის ასევე მნიშვნელობის განსაზღვრით.²

II. შემადგენლობა

1. ნაწილ-ნაწილ შესრულება

უპირველესად უნდა განისაზღვროს, რა ჩაითვლება ნაწილ-ნაწილ საქონლის მიწოდებად. 3

¹ შდრ. *Saenger*, in Beck OK, Art. 73 CISG, Rn. 4.

² *Magnus*, in Staudinger BGB, Buch 2, CISG, 16. Aufl., 2011, Art. 73, Rn. 16.

მუხლის ფორმულირების გათვალისწინებით უდავოა, რომ აღნიშნული წესი ვრცელდება უშუალოდ საქონლის ნაწილ-ნაწილ მიწოდების შემთხვევაზე და არა სხვა, საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა ნაწილობრივ შესრულების შემთხვევებზე. ნაწილ-ნაწილ საქონლის მიწოდება სახეზეა, თუ შესრულების ვალდებულება სულ მცირე ორ ნაწილად არის დროში გამიჯნული (დანაწევრებული).³ აღნიშნული შესრულების სახედ, როგორც წესი, მიმდევრობითი მიწოდების ან განვადების (განწილვადების) შემთხვევებს მოიაზრებენ. თუმცა ნაწილ-ნაწილ შესასრულებელ ვალდებულებად მიჩნევისათვის არ არის მნიშვნელოვანი, რომ შესრულება თანაბარ ნაწილებს ან ერთგვაროვან საქონელს უკავშირდებოდეს.⁴

4 ნაწილ-ნაწილ შესრულების თაობაზე შეთანხმება ხელშეკრულებით უნდა იყოს გათვალისწინებული.

5 მოწესრიგების ფარგლებში გათვალისწინებული უფლება ვალდებულების დარღვევის მხოლოდ იმ შემთხვევაზე ვრცელდება, როდესაც ხელშეკრულების ნაწილი არ სრულდება, რაც ამასთანავე ქმნის შემდგომი ნაწილების შეუსრულებლობის რეალურ საშიშროებას.⁵ დამატებით განმარტებას საჭიროებს, რამდენად ფართოდ შეიძლება განიმარტოს ფორმულირება „როდესაც ხელშეკრულების ნაწილი არ სრულდება.“ კერძოდ, იგი ვრცელდება მხოლოდ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევებზე თუ შესაძლებელია მისი გამოყენება არაჯეროვანი შესრულების მიმართ. მაგალითისათვის, ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლებელია, გამართლებული იყოს 486-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების გამოყენება იმ შემთხვევებშიც, როდესაც შესრულებული ნაწილი ნაკლიანია (არაჯეროვანია), რაც სამომავლო ვალდებულებების შეუსრულებლობის (ან არაჯეროვნად შესრულების) საფრთხეს ქმნის. მაგალითად, თუ გამყიდველმა მყიდველს საქონლის ნაწილი ნაკლიანი მიაწოდა და მან ვერ უზრუნველყო უნაკლო ნივთის მიწოდება ან ნაკლის გამოსწორება დამატებითი შესრულების ფარგლებში; ამასთანავე, გარემოებებიდან ირკვევა, რომ არც სამომავლოდ არის მოსალოდნელი ვითარების ცვლილება.⁶ ასეთ შემთხვევაში, გამართლებულია, მყიდველს ჰქონდეს 486-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების განხორციელების უფლებამოსილება.

2. რეალური საშიშროება

6 ვალდებულების დარღვევა, ამ შემთხვევაში, სამომავლოდ შესასრულებელი ვალდებულების არსებითი დარღვევის ინდიკატორია.⁷ ცალკეული შემთხვევის გათვალისწინებით უნდა შეფასდეს, არსებობს თუ არა ობიექტურად სარწმუნო საფუძველი, რომელიც სამომავლო ვალდებულების შესრულების შეფერხებას განაპირობებს⁸ ან დიდწილად სავარაუდოს ხდის. მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევა აუცილებელი წინაპირობაა და უნდა იყოს მოსალოდნელი საშიშროების შეფასების ძირითადი კრიტერიუმი. გარემოებები, რომლებიც დამოუკიდებლად,

³ Saenger, in Beck OK, Art. 73 CISG, Rn. 3.
⁴ MüKo/Huber, BGB, 6. Aufl., 2012, Art. 73 CISG, Rn. 2.
⁵ MüKo/Huber, BGB, 6. Aufl., 2012, Art. 73 CISG, Rn. 12.
⁶ MüKo/Huber, BGB, 6. Aufl., 2012, Art. 73 CISG, Rn. 15.
⁷ MüKo/Huber, BGB, 6. Aufl., 2012, Art. 73 CISG, Rn. 12.
⁸ MüKo/Huber, BGB, 6. Aufl., 2012, Art. 73 CISG, Rn. 13.

მოვალის საქმიანობის, სხვა გარემოებების გათვალისწინებით ეჭვქვეშ აყენებს ვალდებულების შესრულებას, დამოუკიდებლად ვერ გახდება ამ მუხლის გამოყენების საფუძველი. მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევა თავისი არსით უნდა ქმნიდეს მომდევნო ვალდებულებათა დარღვევის რეალურ საფრთხეს.⁹

ასეთი შესაძლოა იყოს, მაგალითად, თუ გამყიდველი არ ასრულებს ვალდებულების ნაწილს და, ამასთანავე, შემდგომ შესრულებაზე უარს ამბობს;¹⁰ ასევე, როდესაც არაჯეროვანი შესრულების დროს დამატებითი შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა უშედეგოდ გადის, ან ამ ვადაში ნაკლის გამოსწორებისა თუ დამატებითი შესრულებისათვის გამყიდველი მყიდველისაგან დამატებით ანაზღაურებას ითხოვს წინასწარ.¹¹

რამდენად ქმნის ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობა შემდგომი ვალდებულებების შეუსრულებლობის რეალურ საშიშროებას, დარღვეული და შესასრულებელი ვალდებულებების ურთიერთმიმართებისა და მთლიანი ხელშეკრულების ფარგლებში მათი მნიშვნელობის შეფასების საფუძველზე უნდა მოხდეს.¹²

III. სამართლებრივი შედეგი

486-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას, მხარე უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე 355-ე მუხლით გათვალისწინებული წესით, კერძოდ მეორე მხარისათვის შეტყობინების გზით. როგორც ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა, ის ნამდვილი გახდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი მიმღების ძალაუფლების სფეროში მოექცევა და მიმღებს მისი გაცნობის რეალური შესაძლებლობა ექნება.¹³

გასათვალისწინებელია, რომ, ვენის ნასყიდობის კონვენციის 73-ე მუხლისაგან განსხვავებით, სკ მხარეს ანიჭებს მთლიანად ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას მაშინ, როდესაც კონვენციის ამ მუხლის მე-3 ნაწილი ხელშეკრულებაზე უარის უფლებას ითვალისწინებს მხოლოდ სამომავლოდ, კერძოდ დარჩენილი შესრულების ნაწილში.¹⁴ აღნიშნული მიდგომა გასაზიარებელია ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით. გაუმართლებლად არათანაზომიერი ტვირთი დააწვება მოვალეს, თუ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება ვალდებულების დარღვევამდე განხორციელებულ შესრულებებზე უპირობოდ გაავრცელდება. ასეთი მხოლოდ გამონაკლისის სახით იქნება გამართლებული, რომელიც 405-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბოლო წინადადებით ნათლად არის ჩამოყალიბებული. „ხელშეკრულებაზე სრულად უარი გამართლებულია ასევე, თუ ვალდებულების დარღვევა არსებითია“, რაც მთლიან ხელშეკრულებასთან მიმართებით უნდა შეფასდეს. ასე მაგალითად, თუ მიწოდებული

⁹ შდრ. MüKo/Huber, BGB, 6. Aufl., 2012, Art. 73 CISG, Rn. 14.

¹⁰ Saenger, in Beck OK, Art. 73 CISG, Rn. 9; MüKo/Huber, BGB, 6. Aufl., 2012, Art. 73 CISG, Rn. 16.

¹¹ NJW-RR 1999, 780, SchiedsG Hamburg (freundschaftliche Arbitrage), Schiedsspruch vom 29.12.1998.

¹² შდრ. Magnus, in Staudinger BGB, Buch 2, CISG, 16. Aufl., 2011, Art. 73, Rn. 13.

¹³ კერესელიძე, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 246.

¹⁴ MüKo/Huber, BGB, 6. Aufl., 2012, Art. 73 CISG, Rn. 17.

ბოლო დამუშავება: 28 მარტი, 2016

საქონლის 80% თუ ნაკლიანია; ასევე, შერჩევითი შემოწმებისას მნიშვნელოვანი ოდენობა პროდუქციისა ნაკლის მქონეა და ობიექტურად შეცნობადი არ არის, რომელი ნაწილია მათ შორის ნაკლიანი.¹⁵

¹⁵ MüKo/Huber, BGB, 6. Aufl., 2012, Art. 51 II CISG, Rn. 18-19.